რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 23 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ, Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 17 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 17

# მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

## ყოველ დღიურ გაზეთებზე

## „ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბანვორი კრივ“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით—12 მან., ერთი თვით—2 მან,

### ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური სივიწროვის გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულათ გადასდონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოპ აკოპიანს (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

## ევროპის რევოლუცია.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ევროპის რევოლუციაზე. რუსეთის რევოლუცია იმგვარ საერთაშორისო პირობებში სწარმოებს, რომ მისი ადგილობრივი ჩარჩოებით განსაზღვრა მეტად საეჭვოთ გახდის მის გამარჯვებას, თუნდაც მარტო პოლიტიკური ხასიათის იყოს იგი. რუსეთის რევოლუციას აუცილებლათ უნდა გამოეხმაუროს ევროპის ქვეყნები, რომ უზრუნველ ყოფილ იქნან ის მოპოებანი, რომელსაც უკვე მიაღწია მან,—დანარჩენ შორეულ მიზნებზე რომ არც ვილაპარაკოთ.

ეს იციან ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა და ნიშნის მოგებით დაგვჩხავიან: აბა სად არის თქვენი ნაქები ევროპის პროლეტარიატი, ის ყურსაც არ იბერტყავს, რევოლუცია ფიქრათაც არ მოსდისო.

რა თქმა უნდა, ასეთი საყვედური პროლეტარიატის მიმართ წარმოუდგენელია ინტერნაციონალისტის მხრით, რომელსაც მუდამ გათვალისწინებული აქვს, რომ პროლეტარული მოძრაობა მარტო კეთილ სურვილზე არ არის დამყარებული. ასეთი საყვედური და ლანძღვა-თრევა გაბოროტებული ბურჟუაზიის ხელობაა, ის გამწარებით ხედავს, რომ მის ბატონობას აქ უკვე ბოლო ელება, მაშინ როდესაც მისი დასავლეთის მოძმე კიდევ განაგრძობს პარპაშს.

რუსეთის რევოლუცია მით უფრო ადრე პოვებს ევროპაში თავის გამოხმაურებას, რაც უფრო ღრმათ და ფართოთ იწარმოებს ის საკუთარ ქვეყანაში. საკმაო არ არის მარტო ფრაზები, რომელსაც ადგილი ქონდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ. რვა თვის განმავლობაში. ეს ადუნებს რევოლუციონურ მოძრაობას, მის სასიცოცხლო მაჯის ცემას და ანელებს იმ ცეცხლს, რომელიც შეს ძლოა მოედოს ევროპასაც. მხოლოდ გაბედული რევოლუციონური პოლიტიკა, რომელიც ყოველგვარ კავშირს სწყვეტს გაბატონებულ კლასებთან და მათ სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვის, იწვევს ევროპაშიაც შესაფერ გამოხმაურებას.

სანამ ოქტომბრის რევოლუცია მარტო პეტროგრადის გადატრიალებათ იყო წარმოდგენილი, რასაც ხელს უწყობდენ ყველა კადეტ-აბარონცები თავის განგაშით, ნაკლები იყო იმის შანსები, რომ მას ევროპაშიაც მოეპოვებია გამოხმაურება.

მაგრამ რევოლუციამ გადიტანა ეს კრიზისი. ჩამორჩენილი პროვინცია ჩაება სატახტო ქალაქების რევოლუციონურ ფერხულში და მძიმეთ, მაგრამ საიმედოთ ცდილობს განამტკიცოს ის წესები, რომლებიც უკვე დამყარებულია ცენტრებში. რევოლუციის ცეცხლი მოედო ისეთ „დაზღვეულ“ კუთხეებსაც კი, რომლებიც კონტრრევოლუციის ბუნაგათ ითვლებოდენ. მშრომელი ხალხი ყველგან იმართება წელში და სასიკვდილო იერიში მიაქვს მუქთა-ხორათა ბანაკზე. პეტროგრადიდან აგორებული რევოლუციის მძლავრი ტალღა აბობოქრებულ ზღვათ გადიქცა და წალეკას უქადის ყოველგვარ მტარვალობას.

უკრაინა, რომელსაც თებერვლის რევოლუციის შემდეგ თითქოს ნაციონალური თვით-გამორკვევის მეტი სხვა საზრუნავი არა ქონდა რა, დღეს წარმოადგენს გაალმასებულ კლასთა ბრძოლის ასპარეზს. როდესაც უკრაინის ხალხი იმთავითვე იყოფა ორ ბანაკათ: მშრომელი ხალხი რუსეთის მშრომელ ხალხთან შეთანხმებულათ გააფთრებული ებრძვის გაბატონებულ კლასს, რომელსაც ზურგს უმაგრებს რუსეთის კონტრრევოლუციონური ბურჟუაზია. ბრძოლის შედეგი წინდაწინ უზრუნველ ყოფილია, ის ხალხის სასარგებლოთ უნდა გათავდეს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია კაზაკების მხარე—დონის და ყუბანის ოლქები, სადაც თავი მოიყარა მთელი რუსეთის კონტრრევოლუციონურმა ლაშქარმა კალედინის მეთაურობით. საბოლოვოთ აქაც ორ ბანაკათ დაირაზმა ხალხი და მშრომელმა ნაწილმა სძლია გაბატონებულ ნაწილს.

კონტრრევოლუცია უნიადაგო აღმოჩნდა, მას არა აქვს დასაყრდნობი წერტილი ხალხში და ის უკანასკნელ სულის ღაფვას განიცდის. რუსეთის რევოლუცია ვითარდება როგორც სიღრმით, ისე სიფართით და ყველა თვალხილულისთვის ცხადყოფს თავის ძლევა-მოსილებას.

ეს გარემოება დიდ ნიადაგს ქმნის ევროპის რევოლუციისთვის. წარმოუდგენელია, ევროპა არ გამოეხმაუროს რუსეთს და არ შეითვისოს მისი ბრძოლის მეტოდები. და ეს დრო მით უფრო ადრე დადგება, რაც უფრო განმტკიცდება რუსეთში რევოლუციონური საბჭოების ძალა-უფლება.

## ზავის საკითხი.

გერმანიამ ამიერ კავკასიის კომისარიატს მომართა წინად დებით და ურჩევს მას დამოუკიდებლათ გამოვიდეს იმ საზავო მოლაპარაკებაში, რომელიც ახლა ბრესტლიტოვსკში სწარმოებს. ამავე დროს ხმებია, რომ გერმანია მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთის მოკავშირეებთან რუსეთის ზურგს უკან.

ამაში მოულოდნელი არაფერია. ზავის კამპანია არა ნაკლებ მძიმე და მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე თვით ომი. გერმანია ცდილობს აქ თავისი პოზიცია გაიმაგროს და საუკეთესოთ მიაჩნია, თუ რუსეთის მხრიდან გამოვა არა სახალხო კომისარების საბჭო, არამედ რამდენიმე მხარე, რომლების ერთმანეთზე გადაკიდებით ის ადვილათ მოიმკის გამარჯვებას.

სახალხო კომისარების საბჭო მედგრათ აწარმოებს დემოკრატიული და სამართლიანი ზავის კამპანიას. ის მტკიცეთ დგას თავის პოზიციაზე და გერმანიას არაფერს არ უთმობს. პირიქით გერმანია იძულებული გახდა სიტყვით მაინც ბევრი რამ დაეთმო და თავის ხრიკების გაყვანაზე იმედი დაიწმინდა. აი აქ მან საუკეთესოთ დაინახა მოლაპარაკებაში ჩაითრიოს როგორც სწორ უფლებიანი მხარე, უკრაინა და ამიერ-კავკასია, რომელთა მთავრობების პოლიტიკა, ეჭვს გარეშეა, უფრო ბურჟუაზიული და მაშასადამე გერმანიისთვის უფრო მისაღები იქნება.

მაგრამ რაც გინდ თვით-გამორკვეული იყოს უკრაინა და ამერ-კავკასია, საბოლოვოთ საკითხს სწყვეტს სახალხო კომისარების საბჭო, რომელიც წარმოადგენს რუსეთის—უდიდეს ნაწილს და რომელსაც ამ თვითგამორკვეულ ქვეყნებშიაც დიდძალი თანამგრძნობი და მომხრე ყავს მეტადრე ზავის საკითხში. ეს კარგათ იცის გერმანიამ და თუმცა ის ხელს არ აიღებს რუსეთის რევოლუციონური ფრონტის დასუსტებაზე, რომ მით ადვილათ მიაღწიოს მისთვის სასურველ ზავს, მაგრამ ისიც იცის, რომ სახალხო კომისარები საბჭო უფრო ძლიერათ არყევს გერმანიის შინაურ მყუდროებას და რაც დრო გადის, მით უფრო აუცილებელს ხდის რევოლუციონურ ქარიშხლის ამოვარდნას თვით გერმანიაში. ეს კი მეტათ სახიფათო მდგომარეობას ქმნის მისთვის, რომელსაც ვერაფერს უშველის კონტრრევოლუციონური უკრაინის და ამიერკავკასიის მთავრობების საქმეში ჩარევა.

გერმანია მარტო ამ გზით ფონს ვერ გავა. რევოლუციონური რუსეთის დასამარცხელათ ის მიმართავს თავის მოწინააღმდეგე ქვეყნებს და მათ ითრევს თავის პლანების განხორციელებაში. რუსეთის საზავო პირობები ერთნაირათ მიუღებელია როგორც გერმანიის, აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისთვის. და აი გერმანიაც ცდილობს გაართიანოს იმპერიალისტების ფრონტი რევოლუციონური ფრონტის წინააღმდეგ.

ოთხი წლის სისხლის ღვრის შემდეგ შეიძლება მართლა მორიგდენ ეს ქვეყნის სვავები და საერთო ენა გამონახონ ახალი საფრთხის წინააღმდეგ. მათ ერთ-

ნაირათ სძაგთ რუსეთის რევოლუცია, რადგან ის ყოველნაირათ ეშუქრება მათ ბატონობას.

ამნაირათ რუსეთს მეტათ კრიტიკული ხანა უდგება. მის წინაამდეგ მიმართულია არა მარტო რუსეთის კონტრ-რევოლუციონერები, არამედ მთელი ქვეყნის იმპერიალისტები. ისინი შეთანხმდებიან რომ ყოველი ძალით დაჰფლონ რუსეთი და სისხლში ჩაახრჩონ ძლევა-მოსილი რევოლუცია.

მათი სურვილი აშკარაა. საქმე მხოლოთ იმაშია: შესძლებენ თუ არა მის განხორციელებას? სულმოკლენი აქაც არ დაიყოვნებენ თავის ბრძნულ პასუხს და იტყვიან, რომ რუსეთი აუცილებლათ დაიღუპება და რა თქმა უნდა ბრალს ბოლშევიკებს დასდებენ, რომელთაც კავშირი გასწყვიტეს ინგლის—საფრანგეთ და სხ. იმპერიალისტებთან.

რომ ხაიმედი არ ყოფილან ჩვენი მოკავშირენი, ეს აშკარაა. ისინი მანამდე იწეოდნენ რუსეთთან კავშირს, სანამ მათი მიზნებისთვის ის საჭირო იყო, სანამ რუსეთი წარმოადგენდა ცოცხალ ძალას, რომელიც დაუფიქრებლათ ემორჩილებოდა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტების ინტერესებს. როდესაც რუსეთმა ხელი აიღო მათთვის სასარგებლო სისხლის ღვრაზე, ისინი თვით ესხმიან მას თავს და გუშინდელი მოკავშირენი დღეს მტრებათ უხდებიან. თქმა არ უნდა, ასეთ მოკავშირესთან რაც მალე გასწყვეტ კავშირს, მით უმჯობესია. სხვისი ინტერესებისათვის სისხლის ღვრას ვერ დაუდებს რევოლუციონური რუსეთი საფუძვლათ თავის დაკავშირებას.

მეორე მხრით, ინგლის—საფრანგეთის შემოსევა რუსეთში მხოლოთ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, რომ ამ ქვეყნებს უკვე გადაბმული არ ქონდეთ თითქმის ოთხი წლის ომი და დღესაც განიცდიდენ მთელ მის მანაფურებელ შედეგებს. წარმოუდგენელია რამე შოვინისტური გამორიოტება გამოიწვიოს რუსეთის დღევანდელმა მოქმედებამ ამ ქვეყნებში, რაც გინდ დაბრმავებულიც იყოს იქაური მშრომელი ხალხი თავის ბურჟუაზიის მიერ.

პირიქით, რუსეთის წინაამდეგ ამხედრება, რომელიც არა თუ არ ომობს თითონ, ამაზედ სამართლიანი, დემოკრატიული ზავისკენ მოუწოდებს ყველა ქვეყნებს, თვალს აუხელს ამ ქვეყნების ხნის დაბრმავებულ მშრომელ ხალხს, რომელიც რუსეთის ნაცვლათ საკუთარ ქვეყნის მუქთა ხორებს მიუბრუნებს სამართ მახვილს.

იმპერიალისტები თითონ არ წავიდოდენ სამარეთ. მათ პროლეტარიატი უნდა გაუგზავნონ ბრძოლის ველზე. რუსეთის პროლეტარიატმა კი უკვე მოაწყო იმპერიალისტების და თავის საშვილიშვილო სხეითამ. პოლიტიკა. და ეს მთელ ქვეყანას უწყებს მის წინაამდეგ მშრომელი ხალხის დაძვრა იმპერიალისტების ძალლონეს აღემატება. მათ გაერთიანებულ ფეზაჟურ ფრონტს წინ დაუდგება ასჯერ ძლიერი პროლეტარული ფრონტი, რომელიც თითონ მიიტანს იერიშს მსოფლიო მშვიდობიანობის მტრებზე და დაამყარებს ხალხთა შორის ძმობას.

## ქართული მენშევიზმი.

მენშევიკებმა ის მხოლოთ [illegible] ნიმუში ნახეს ჩვენს წინადადება, რომ ლენინი, ტროცკის [illegible] და რა გასაკვირველია, თუ ყოფილი ბოლშევიკების [illegible] მათ [illegible] უდიდეს საშუ-

თათ დასახონ თავის სიმართლის დასამტკიცებლათ. ჩვენგან გაქცეული ელიავა და ჟუღელი მათ შეეხატება და იმის გამო ქვეყანას ყურები გამოუჭედეს—აი გულწრფელი ბოლშევიკები, აი საუკეთესო მუშაკები ჩვენთან არიანო".

ჟუღელი დღესაც ბოლშევიკათ აცხადებს თავის თავს, თუმცა იმდენი უფლება აქვს ამისი, რამდენიც, ვთქვათ, რამიშვილს ან გობეჩიას, რომლებთანაც ის თავის სასახელოთ „მოღვაწეობს". ბოლშევიკების ლანძღვა-თრევა, მათ წინაამდეგ ყოველივე საშუალებით ბრძოლა რომ ბოლშევიკობას მოასწავებდეს, მაშინ მილიუკოვი და კალედინი საუკეთესო ბოლშევიკები იქნებოდენ. ელიავას ბოლშევიკობაც მხოლოთ იმაში გამოიხატება, რომ ლანძღავს ბოლშევიკებს და ყველ თავის უზნეობას მათ აბრალებს. გავიხსენოთ, როდესაც ქალაქის საბჭოში შეეკითხენ ნავთის ნაკლებობის მიზეზზე და მოუთითეს უხარმაზარ „კულებზე", რომელიც მეორე დან მეხუთე ქუჩაზე გადადიოდა, ელიავამ უკეთესი ვერაფერი მოიგონა თავის გასამართლებლათ, რომ წარბ-შეუხრელათ გამოაცხადებინა, — ეს ყველაფერი ბოლშევიკების ბრალიაო.

ეს ბოლშევიკები, მეტადრე ჟუღელი და მედავერენს არც ჩვენთან წარმოადგენდენ; ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ მივტირით მათ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ისინი მათ „ხაზეინებს" და მათ მაგ ნაპარეზინოს მათთვის ცარიელი პორტფელები. ჩვენთან არც ამისი იმედი უნდა ქონოდათ კარგა ხანს და დიდი უსამართლობა იქნებოდა ჩვენი მხრით, რომ ამ ფართო ასპარეზის მოტრფიალე ხალხისთვის გზები შეგვეკრა.

ჟუღელი და ელიავა რა სახსენებელია იმ პიროვნებასთან, რომლებიც მენშევიზმმა ბოლშევიზმს „შესძინა". ტროცკი და ლარინი მენშევიკები იყვნენ და ყველამ იცის, რა დიდ როლს თამაშობენ ისინი დღევანდელ რევოლუციონურ მოძრაობაში. ისინი ბოლშევიზმის დროშის ქვეშ მოქმედებენ, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გამოვიყენებით ეს უდიდეს საბუთათ მენშევიკების წინაამდეგ, ამ-ლაც თუ ვეხებით, მხოლოთ იმიტომ, რომ აღვნიშნოთ რუსეთის და აქაური მენშევიზმის განსხვავება. უდიდესი მოწინაამდეგენი: ლენინი და ტროცკი, ლენინი და ლარინი შეერთდენ; თეორეტიულათ ისინი პროლეტარიატის საქმის სამსახურს ასარებდენ, მაგრამ ამას სხვადასხვანაირათ აწხორციელებდენ; გადამწყვეტმა მომენტმა, როდესაც სწყდება პროლეტარიატის ბედი, ეს მოწინააღმდეგენი შეაერთა, შეადუღა, ერთი დროშა მისცა და ერთ გარკვეულ გზაზე დააყენა. მათ შორის აღარ არსებობს ძველი უთანხმოება, რომელმაც ვინ იცის რამდენი სისხლი გაუფუჭა ერთსაც და მეორესაც, ისინი ახლა მოვალისკენ იცქირებიან, მთელ თავის ძალღონეს შეთანხმებულათ სწირავენ პროლეტარიატს, მასთან ერთათ დაიღუპებიან, ან მასთან ერთათ გამარჯვებენ.

შემთხვევითი არ არის ტროცკის და ლარინის ლტოლვა მენშევიზმიდან: მენშევიზმის გავლენის ქვეშ მყოფი დიდი უმრავლესობა პროლეტარიატისა ამნაირათვე მოშორდა ძველ გზას და ის სავსებით დაუფლაცა ლიბერალებს.

არც ის არის შემთხვევითი, რომ მხოლოთ რუსეთის მენშევიზმმა შესძლო წარმოეშვა მიმართულება მენშევიკ-ინტერნაციონალისტების, რომელსაც თავში უდგია მენშევიზმის დამაარსებელი მარტოვი. მეტათ საბრალო და უნიშვნელოა ამ ჯგუფის პოლიტიკური როლი. ბოლშევიკებს მისგან არც სცივათ და არც სცხელათ, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ის ცდილობს სიტყვით მაინც არ გასწყვიტოს კავშირი სოციალიზმთან და თუ ხელადებით ვერ დამდგარა პროლეტარიატის თვალსაზრისზე, ჯერჯერობით არც მისი მტრების ბანაკს მოკალათებულა სამუდამოთ.

წარმოადგენს რასმე ამის მსგავს კავკასიური ან უკეთ რომ ვსთქვათ, ქართული მენშევიზმი თუ არა?

სრულიად არაფერს. უმალ ცა დაექცევა მიწას, ვიდრე მენშევიკი ინტელიგენტი ბოლშევიკათ გადიქცეოდეს. ქართულმა მენშევიზმმა ისეთი უღიმღამო ინტერნაციონალიზმიც ვერ გამოყო თავის წრიდან, რომელსაც შორეული მსგავსება მაინც ქონდეს მარტოვის ჯგუფთან.

პროლეტარულ მიმართულებას—ბოლშევიზმს არაფერი არ შესძინა ქართული მენშევიზმიდან. ეს უკანასკნელი სავსებით შეეწირა მსხვერპლათ ქართულ ნაციონალიზმს და შოვინიზმს.

რატომ მოხდა ასე?

ამას თავისი საპატიო მიზეზები აქვს, რომელსაც მშვენივრათ გამოხატავს ფრანგული ანდაზა: „თვით ულამაზეს ქალს არ შეუძლია იმაზე მეტის მოცემა, რაც თითონ არ მოეპოვება".

ტროცკი და ლარინი ისტორიიდან განწირულ მენშევიზმის საუკეთესო მემკვიდრეობაა, რომელიც ბოლშევიზმმა კანონიერათ მიითვისა. ინტერნაციონალისტები მარტოვი, აქსელროდი, მარტინოვი—ეს ერთათ ერთი ბრწყინვალე ლიქია ხელის-მლაფავი მენშევიზმისა.

ამ მოვლენებს ადგილი არა აქვს ჩვენში. აქ მენშევიკ-ინტერნაციონალისტები არ მოიძებნებიან, იყო რაღაც ფუჩფუჩი მობილიზაციის საკითხის დროს, მაგრამ როგორც ყოველთვის, აქაც გაიმარჯვა ოფიციალურმა—ნაციონალისტურმა მენშევიზმმა, რომელიც ისე დაბლა დაეშვა, რომ გაუპირფერებლათ ნთქავს სოციალ-ფედერალიზმს და ნაციონალ დემოკრატიზმსაც.

სცადონ ჩვენმა მენშევიკებმა და მეცნიერულათ აგვიხსნან, თუ რატომ არ განმეორდა აქ რუსეთის მენშევიზმის რყევა და რღვევა და რატომ შეინარჩუნა მან აქ თავისი გაქვავებული ფორმა? ჩვენ ყურადღებით მოვისმენთ მათ საბუთს მხოლოთ ერთი პირობით: საბუთათ არ იხმარონ ის მოსაზრება, რომ ქართველები უფრო დაწინაურებულია, უფრო ჭკვიანია, უფრო დამდგარი ბუნებისაა,—ერთი სიტყვით, რომ ქართველები სჯობიან რუსებს, ეს საბუთი ნაციონალისტურია და ჩვენ შეჩვეული არა ვართ ასეთი საქმის მონელებას.

## მხედრის წერილები.

6.

ჩემს წინა წერილში მე ვსთქვი, რომ ჯარისკაცთ ეგონათ რუსეთში ცოტა რამ ცვლილება მოხდა,—სახელდობ ის, რომ ნიკოლოზ მეორემ უარი სთქვა მეფობაზე და იმის მაგიერ მისივე ბიძაშვილი იქნებაო. ასეთი აზრი და ბუნდოვანი გაგება რუსეთის დიდი რევოლიუციისა იყო კადეტების და კომ. ბრალი, რომელნიც სწორეთ ამ პოზიციას ადგნენ. მათ ეს მთელ სამხრეთ რუსეთს ამცნეს სახელმწიფო სათათბიროს წევრის ალექსანდროვის პირით, მე ქ. ეკატერინოსლავში დავესწარი მის მოხსენებას, სადაც იგი ყოველგვარ ცვლილებისათვის ნიკოლოზის გადადგომას და მაშინდელ დრ. მთავრობას საკმარისათ სთვლიდა. ს[...] შორის მან საჯაროთ აღიარა, [...]ვირს რათ არ შეიყვანეს დრ. მთავ[რო]ბაში ნ. ჩხეიძე, ვინაიდგან მისი აზ[რით] დრ. მთავრობა უსოციალისტოთ ავტ[ო]რიტეტიანი არ იქნებოდა. ერთი სიტ[ყ]ვით, კადეტებს ესაჭიროებოდათ სოცია[ლ]ისტები სახელათ, რომ მათ ხალხ[ის] უკმაყოფილებაში არ დაემსახურებით, რ[ომ] ჩვენში „სოციალისტებმა" კოლეგა[...]რულეს თავიანთი შესვლით დრ. მთავ[რო]ბაში და იმ პოზიციის დაცვით, რ[ომ]ელსაც მაშინ გუჩკოვ-მილიუკოვ[ები] იცავდენ.

მაგრამ ხალხს არ ეძინა... ის რ[აც] მოხდა რუსეთის ცენტრში პეტროგრად[ში], თანდათან ირკვეოდა... ჯარიც თ[ან]დათან იღვიძა და გრძნობდა რომ ნიკ[ო]ლოზ მეორის მძიმე უღელ ქვეშ [აღარ] იმყოფებოდა, რომ მას შეეძლო როგორ[ც] სრულ უფლებიან მოქალაქეს კრიტი[კუ]ლი თვალით შეხედა ამა თუ იმ საკით[ხ]ზე და ხალი წარმოდგენა ქონოდა მასზ[ე] რასაც იგი ხმადიოდა... რაც უფრო ი[რ]კვეოდა ჯარი, მით უფრო კრიტიკულ[ათ] უყურებდა იგი ომს.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ჩვე[ნ] ვხვდი აფიცრები, აფიცერთა კრებულ[ში] ვისხედით, გადმოგვცეს რომ ჩვენს პოლ[კ]ში მიტინგი გაუმართავს ომის შესახებ კი[თ]ხვების გასარჩევათ. მიტინგზე წავედ[ით] რამოდენიმე აფიცერი, მათ შორის მე[ც]. აქ ჩვენ დავინახეთ, რომ გარდა ჩვენ[ი] სალდათებისა იყვნენ გარეშე პირებიც. ახსნა-განმარტება მოდიოდა მასზედ, თ[უ] ვინ ჩაიგდო ხელში სახელმწიფოს ბედ[-ი]ღბალი, მისი გამგეობა, რომ ბურჟუაზიული მთავრობა არასოდეს არ იქნე[ბ]ოდა რუსეთის დემოკრატიის ინტერესების დამცველი; რომ არასოდეს არ მოახწავებდა სიტყვებს „უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ" თუ კი რომ რუსეთის დემოკრატია თავის ლოზუნგად „Война до побѣднаго конца"-ს დაანიშნავდა და სხვა და სხვა.

ჩვენი სალდათები ურასა და ძირს გუჩკოვ-მილიუკოვები, ძირს ბურჟუაზიული დრ. მთავრობის ძახილით ეგებებოდენ ორატორებს. ამ დროს ჩვენ[ი] ბრიგადიდან გამოვიდა ერთი ჩინოვნიკი, იმამულის გამომძიებლის ადგილის მქონე, კარგი მეგობარი როდზიანკო-გუჩკოვისა. აიღო სიტყვა, ავიდა ტრიბუნაზე და ორატორებს დაუწყო გამოკამათება. ის ამტკიცებდა, რომ როდზიანკო-გუჩკოვებით რუსეთი დაიღუპება, მას მტერი წაიღებს, რომ გუჩკოვ-როდზიანკო ეს ის პირნი არიან, რომელნიც მუდმივ ებრძოდენ ნიკოლოზ მეორე[ს] რუსეთის ხალხის სასარგებლოთ; მაგ[რამ] რომ მას ჯარი არ უსმენდა,—„ძირს" ძახილით ჩამოაგდეს ძირს და ასეთი ბედი ეწვია სამ სხვა პირთაც. დასასრულს, რომ არა გაეწყო რა, როდესაც ჯ. კ.-ს თავი შელარავინ მოუყარა, როდესაც მათ განაცხადეს, რას ნიშნავს ჩვენი პოლკის დროშაზე წარწერა: „Война до побѣднаго конца", როდესაც იქვე აწერია „миръ безъ анексiи и контрибуцiи", კმარა ომი, კმარა უმანკო სისხლის ღვრა სხვა ქვეყნისა და ჩვენი კაპიტალისტების ჯიბის გასასქელებლათ, მოწინააღმდეგეებმა ხრიკს მიმართეს. ჩინოვნიკმა გაიხმო რამოდენიმე შტაბის გენერალი და აუხსნა მათ, რომ ის პირნი, რომლებიც დღეს აქ ორატორობენ „ბოლშევიკები" არიან, ვინაიდან ისინი ომი[ს] წინაამდეგ მიდიან და ეწევიან აგიტაციას. ბოლშევიკები კი ვილგელმის მოსყიდული არიან, უნდათ რომ რუსეთი მას ჩაუარდე[ს]

მელნიო. ამიტომ ჩვენი ძალა უნდა გამოგვეჩინა იქიდან, რომ ჩვენი ჯ. ქ. ... ამის შემდეგ ერთმა მწერალთაგანმა აიღო სიტყვა, ავიდა ტრიბუნაზე და დაიწყო ლრ. მთავრობის დაცვა, იგი სალდათებმა სწრაფათ, ძალით ძირს ჩამოიყვანეს; ამის მერე ტრიბუნაზე გამოჩნდა თვითონ ის ჩინოვნიკი. რომლის ლაპარაკის მოსმენა არ უნდოდათ სალდათებს, სანამ თვით მისულმა ორატორებმა არ სთხოვეს მოსმენა. მან (ჩინოვნიკმა) თავისი სიტყვა ასე დაიწყო: ამხანაგებო და მოქალაქენო! მე ს.-დ. მენშევიკი ვარ, გლეხთა და მუშათა ინტერესების დამცველი. ის ორატორები კი, რომელნიც ჩემზე წინ ლაპარაკობდენ ბოლშევიკები არიან, გერმანიის მოსყიდულნი, რომელთაც სურთ რუსეთი გაყიდონ. ამ დროს მოისმა ხალხიდან შტაბის მწერლების ხმა: ძირს ბოლშევიკები, ძირს მოღალატენი. ამან აღელვა ხალხი.

შეიქნა შეხლა-შემოხლა. აჯობა ჩინოვნიკის ავანტიურამ და „ბოლშევიკები" გააძევეს. რათ მოიმხრეს ასე მეომრების(?) უმრავლესობა? გულუბრყვილო მკითხველს ეგონება, რომ ჯ. ქ. ნეიტრალისტები სძლდნენ(?)! არა და არა. მაგრამ მიზეზი ის იყო, რომ ჯერ კიდევ დღესაც მენშევიკ-ობორონცების, ესერებ-კადეტების წყალობით მეომრებისათვის სულ სხვა წარმოდგენა ქონდათ და აქვთ საზოგადოების ზოგან უმეტეს, ზოგან უმცირეს ნაწილს.

ბოლშევიკები ხალხს წარმოდგენილი ქონდა, როგორც ურთგვარი-რქიანი(?), რომელიც აპირებდა ქვეყნის გაყიდვას. სხვა სოციალისტურმა პარტიებმა ვერ იქონიეს იმდენი მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ ბოლშევიკები თავიანთ იდეურ მტრათ გამოეცხადებინათ და არა მოსყიდულებათ. ამ დროს ყოველ გვარი პრესა მათ წინააღმდეგ წავიდა, როგორც „კონტრ-რევოლიუციონერების" წინაშე და ვერ ხედავდენ ნამდვილ კონტრრევოლიუციას. მაგრამ როგორ დაინახავდენ, როდესაც თვით მათ კონტრრევოლიუციონერთა შორის აქოყვეს(?) თავი?

გავიდა დრო... გამოიცვალა ძველი მთავრობა და იგივე ჩინოვნიკი გუბკომისარი(?) მილიუკოვების დაცვას აღარ ქადაგობდა, ასიც ადასტურებდა, რომ ასე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ის ამას სჩადიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ხედავდა მასსა მაინც თავისას იზამდა და მას თავის წრიდან გააძევებდა, ამხანაგს არ უწოდებდა. მე ეს ჩინოვნიკი ავსტრიაში(?) ვნახე უბნის კომისრათ ბერჩხით(?). და რამდენი გაგვისოციალისტდა ჩვენ პირველ ხანებში! მახსოვს ჩვენი პოლკის უფროსი ჯ. ქ. როგორი სოციალისტი იყო, ჩვენ კი გვტუქსავდა და გვცემდა,—წახდა საქმე, იმ დავარდნილ სალდათებს ამხანაგი უნდა უწოდოთ.

პოდპორ. ზუაშიძე.

## რადიოტელეგრამა.

პეტროგრადი 16 იანვარი. (სრულიად რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა მესამე სიეზდის) რეზოლიუცია ბრესტლიტოვსკში გამართულ საზავო მოლაპარაკებაზე. რადიოტელეგრამა საყველთაოდ ყველასათვის.

სრულიად რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების სიეზდმა მოიწონა და დაამტკიცა ყველა ის განცხადებანი და ნაბიჯები, რომელიც [illegible] ზავის ჩამოსაგდებათ. სრულიად რუსეთის სიეზდი ამოწმებს, რომ ავსტრია—უნგრეთის და გერმანიის დელეგაციების მიერ წარმოდგენილი საზავო პირობები წარმოადგენს არა თუ მარტო დემოკრატიის პრინციპების უხეშ(?) გათელვას, არამედ ის უარყოფს იმ საფუძველსაც, რომელიც თვით ცენტრალურ სახელმწიფოების იმავე დელეგაციის 12-25 დეკემბრის თათბირზე აღიარებული იყო. ცენტრალური იმპერიები იპყრობენ პოლონელებს, ლიტოველებს, ლატიშთა მხრის ნახევარს, უკრაინის ერთ ნაწილს, ბელორუსიას და ესტონელებს, ცდილობენ რა მათ თითქმის ხელი აღუბინონ ნამდვილ თვითგამორკვევის უფლებაზე და ძალით განამტკიცონ პრივილეგიური და შემდეგ კლასების ბატონობა მათ მხარეში. ამნაირათ ჯარებით ხსენებული ხალხების ტერიტორიის დაკავება პირდაპირ მიმართულია დემოკრატიული ზავის ჩამოგდების წინააღმდეგ იმ საფუძვლებზე, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ გამოაცხადა. სიეზდი ულრმესათ დარწმუნებულია, რომ მათი ანექსიონისტური პოლიტიკა ვერ შესძლებს რუსეთის მშრომელი მასსები გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის მშრომელ ხალხს ჩამოაშოროს. და ვინის ქვეშ(?) ავსტრია-უნგრეთის მუშათა ძლიერ-მძლე პროტესტში რომელიც ანექსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული, აგრეთვე გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობაში სიეზდი ხედავს საუკეთესო გარანტიას წინააღმდეგ იმპერიალისტური ზავისა, რომელიც ემყარება ხალხთა დამონებას და ფარულ კონტრიბუციას. სიეზდი კვლავ აცხადებს მთელი მსოფლიოს(?) წინაშე ისევ იმავე პრინციპებს ზავისას და თავის დელეგაციას ავალებს განაგრძოს მოლაპარაკება მხოლოდ იმავე საფუძვლებზე.

რეზოლიუცია სიეზდმა მიიღო 6 ხმის წინააღმდეგ, ხოლო 18-მა თავი შეიკავა.

### უკრაინის გენერალური სეკრეტარიატის გადაყენება.

პეტროგრადი. 16 იანვარი. როგორც სრულიად მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა მესამე სიეზდის გუშინდელ სხდომაზე გამოირკვა, უკრაინის გენერალური სეკრეტარიატი ვინნიჩენკოს მეთაურობით ადგილიდან გადადგა.

უკრაინაში საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ და ბრესტლიტოვსკში უკრაინელების საზავო პოლიტიკამ უკრაინაში რადის დიდი კრიზისი გამოიწვია. იქ ახლა შესდგა ახალი სეკრეტარიატი: შემარცხენე ესერებისგან და ბოლშევიკებისაგან.

## რუსეთის ქრონიკა.

### ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან.

(რადიო ტელეგრამით გადმოცემულია)

8 იანვარს სტანიცა კამენსკაიაში გაიხსნა ფრონტის ყაზახების სიეზდი; დაესწრო 21 პოლკის და 5 ბატარეის და 2 სათადარიგო რაზმის წარმომადგენელი, ამ სიეზდზე გამოცხადდა აგრეთვე მთელი თავისი შემადგენლობით მშრომელი ყაზახების თათბირი, რომელიც 6 იანვ. ვორონეჟში შეიკრიბა.

გაიგო ეს თუ არა კალედინმა, ბრძანება გასცა გაერეკათ ეს სიეზდი და დაეტუსაღებინათ მისი ორგანიზატორები. [illegible] გადაეყენებინოს კალედინს და მთელი ძალა-უფლება დონის მხარეში ხელთ იგდოს. სიეზდმა აირჩია სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი და გაგზავნა რაზმი სად. „ლიხაიას" და „ზვეროვოს" დასაპყრობათ. ამავე დროს მან ყაზახთა ჯარების 18 უფროს—წარმომადგენელთაგანი დაატუსაღა. სად. „ზვეროვოს" დაკავების შემდეგ იქედან გაიქცა კალედინის შტაბი პოლკოვნიკ მიხაილოვის წინამძღოლობით. რევოლიუციონურმა ყაზახებმა დატოვებულ შტაბის ბინაზე იპოვეს კალედინის მოწერილობა, რომლითაც ის რკინის გზაზე საალყო წესებს აცხადებდა და შემოხსენებულ სადგურების დასაცავათ მე 10 პოლკს გზავნიდა. მაგრამ ამ პოლკმა დაიგვიანა და კალედინის ლაშქარმა ზემოთ დასახელებული პოზიციები დაკარგა.

მეორე დღეს სტანიცა კამენსკაიაში ყაზახებმა გრანდიოზული მიტინგი გამართეს: ყველა ოლტაცებულ-აღფრთოვანებულია. ყაზახებს მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვთ კალედინს თვითონვე თავისი ხელით მოუღონ ბოლო.

რევოლიუციონური არმია, მუშათა და გლეხთა მთავრობა აღტაცებით მიესალმა ყაზახების ასეთ გამოფხიზლებას. ამიერიდან სახალხო მთავრობის ძალ-ღონე და ენერგია გაორკეცებულია. ის ბოლოს მოუღებს ბურჟუაზიულ რეაქციას დონის მხარეში, რომ დიადი რევოლიუცია სრული გამარჯვებით დაამთავროს.

1918 წლის 13 იანვარი.

ხელს აწერს სახალხო კომისარი ანტონოვი.

### კალედინის ფრონტზე.

სახალხო კომისარების საბჭომ პეტროგრადში მიიღო პირდაპირი მავთულით შემდეგი დეპეშა:

„დონეცის სამთამადნო რაიონი გაწმენდილია კალედინის ჯარებისგან და „გაიდამაკებისგან". ქვანახშირის გატანის საქმე სრულიათ ჩვენს ხელშია. ქ. ეკატერინოსლავი ჩვენ მხარეზეა. გაიდამაკები გაძევებულ იქნენ. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ათი ზარბაზანი. საბჭოთა მთავრობა პეტროგრადულათ ეწყობა. ეწყობა აგრეთვე პურის რეკვიზიცია ჩრდილოეთისათვის. ჩვენ დავკარგეთ: 10 მოკლულს, 20 დაჭრილია, ხოლო მოპირდაპირეს გაიდამაკებს—ორჯერ მეტი დაეღუპათ. მოგვაშველეთ ახალი ძალები ზარბაზნებით, ხელით სასროლი ყუმბარებით და სხვა-გვარი იარაღით".

სახალხო კომისარი ანტონოვი.

### ქ. ტაგანროგის აღება.

ფისკის(?) მუშათა გაზეთი „პროლეტარი" სწერს: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ დიდი ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკურმა ჯარებმა ქ. ტაგანროგი აიღეს. სამი პოლკი კალედინის მომხრე ყაზახებისა სულ ერთიანათ გაანადგურეს, მოსპეს. როსტოვში ახლა შფოთიანობაა(?) გამეფებული. შეძლებულები ქალაქს ტოვებენ".

### ბრძოლა ქ. ეკატერინოსლავის ახლო.

ქ. ხარკოვიდან იტყობინებიან, რომ ქ. ეკატერინოსლავის ახლო, 20 ვერსის მოშორებით გრანდიოზული ბრძოლა გაიმართა ბოლშევიკურ ჯარებსა და და უკრაინის რადას ლაშქარს შორის; ბრძოლა 14 საათს გაგრძელდა: ორივე მხრით მრავალი მსხვერპლი დაეცა, როგორც დაჭრილი ისე დახოცილები. ბრძოლა ბოლშევიკების სრული გამარჯვებით დასრულდა.

## ქუთაისის ცხოვრება.

ცნობილია, რომ ქუთაისი, როგორც საქართველოს სხვა ადგილები, მენშევიკების სიმაგრეს წარმოადგენს. აქ მათ თავი ბატონათ მოაქვთ. მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, რევოლიუციის განვითარებასთან მათი მდგომარეობაც შეირყა. ეს მათი მარცხი პირველად ჯარიდგან დაიწყო. რევოლიუციის პირველ დღიდგანვე ჯარში მაგარი ორგანიზაცია გააჩინეს ესერებმა, რითაც აიძულეს მენშევიკები მათთან ბლოკი შეეკრათ და ძალა-უფლება ერთმანეთისათვის გაეყოთ. მათ პოლიტიკურ მოღვაწეობაში არავითარი განსხვავება არ იყო ისე, როგორც მთელს რუსეთში. ამიტომ მათ ჩხუბი არ მოსდიოდათ. რადგან ტოლნი არიან, ძმანი არიან? ბოლშევიკების გამოსვლა პირველად ჯარიდან დაიწყო მენშევიკებს ეს არ მოსწონდათ რასაკვირველია, მაგრამ ძალაუნებურათ ურიგდებოდენ ბედს, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მუშათა მასსაში მათი საკუთარი გეგემონი და ესერების კიდევ ცოტაოდენი გავლენა ჯარში, უზრუნველ ყოფდა ქუთაისის ცხოვრებაში მათ ბატონობას. ამიტომ ისინი ამდენ ხანს აშკარათ არას აცხადებდენ ადგილობრივ ბოლშევიკების წინააღმდეგ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოთ ბოლშევიკებზე ქუჩური ლანძღვის მეტს არას აკეთებს ადგილობრივი, უკაცრავათ პასუხია, გაზეთი „სოც.-დემ." ამ „გაზეთს" მასალა რომ შემოელევა, ბოლშევიკებს იხსენებს და მათი ლანძღვით უდგის სულს.

რევოლიუციის მსვლელობამ მენშევიკების მიმდევარ მასსას თვალები აუხილა და უკმაყოფილება დაბადა მენშევიკურმა ტაქტიკამ. ამას გრძნობენ ადგილობრივი მენშევიკები და არ იციან, რა ქნან, რომ თავის ბატონობა შეინარჩუნონ, არავითარ ზომას არ უკადრისობენ. ამის მაგალითები ორ სამ დღეში ბევრი მოგვცეს.

11 იანვარს მენშევიკების კლუბში მოწვეული იყო ყველა პროფესიების მუშათა კრება, მუშათა საბჭოს ახალ არჩევნების გამო. ძველი საბჭოს მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს გ. ურატაძე. ის ჩვეულებრივ აქებს, ადიდებს ძველ მუშათა საბჭოს, სადაც მხოლოდ მენშევიკების პარტია იყო წარმოდგენილი, მომხსენებლის წინააღმდეგ ბოლშევიკების მხრივ ილაპარაკა მიშა ოკუჯავამ და ალ. აფხაიძემ. მათ აღნიშნეს, რომ ქუთაისის მუშათა საბჭო რევოლიუციას ჩამოსცილდა და მით უღალატა მუშათა კლასს. როცა ის არ იზიარებს რევოლიუციის ცენტრის ტაქტიკას ორატორებმა დაჰგმეს „ობორონცების" ტაქტიკა. შემდეგ მენშევიკების მხრივ ილაპარაკეს მთელმა რიგმა ორატორებმა, რომელნიც მარქსიზმის სახელით აბდაუბდას იმეორებდენ. „ბურჟუაზია", მართალია, მტერია პროლეტარიატის, მაგრამ მას (ბურჟუაზიას) ჩვენ ჩავითრევთ რევოლიუციაში. რევოლიუციაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ბურჟუაზიამ, მთელმა გლეხობამ და მუშათა კლასმა და სხვა.

ბოლშევიკებს პროვოკატორებს და პოგრომშჩიკებს უწოდებდენ. დასასრულ მომხსენებელმაც ბევრი აცინა ზოგიერთი მსმენელნი უკბილო ოხუნჯობით და დემაგოგიით.

14 იანვარს მუშების ინიციატივით პეტრიაშვილის სასწავლებელში მოწვეულ იქნა ბოლშევიკ და თანაგრძნობ მუშების კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. ბუდუ მდივანმა; მუშები თანაგრძნობით შეხ-

